158

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის-მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

აზნ. პავლე სოფრომის ძე ცომაია გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა მისთა გარდაცვალებასა ოქტომბრის 3-სა მეუღლისა თვისისა

ელისაბედ ცომაიასი (გაბუნიას ასულისა)

რომლის უკანასკნელად გამოთხოვების და გასვენების დღედ დანიშნულ არს 14 რიცხვს ამა ოქტომბრის თვისა ოთხშაბათს და სთხოვს მობრძანდნენ დანიშნულ დღეს მის სახლში ს. კაპანას, დასასწრებლად განსვენების დროს მიცვალებულის გვამისა კაპანისავე მაცხოვრის ეკლესიაში, სადაც წირვა-პანაშვიდს გარდაიხდიან იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი და გურია-სამეგრელოისა ალექსანდრე.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“
წლის დამლევამდე
ღირს 2 მანათი



ვასწავლი ფოტოგრაფიულ ხელობას
კურსი 15 მანათი
საწყალ მოწაფეთ უფასოდ
აგრეთვე ვიღებ სურათებს დაკლებულ ფასად; ვადიდებ პატარა სურათს დიდ სურათად, ვბეჭდავ გახსნილ წერილებზე სურათებს (ОТКРЫТОЕ ПИСЬМО) და სხვა ფოტოგრაფიულ ხელობას ვასრულებ სუფთად და მალე.
ადრესი: მეორე ოვრაჟსკის ქუჩა (მთაწმინდაში) სახლი № 14,
ელისბარ ჯაჯანაშვილი
(6—4)

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
I. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 62)

ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицины и хирургъ
БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

სტუდენტად ყოფილი ემებს გაკვეთილებს
ადრესი: „ცნ. ფურცლის“ რედაქცია. (10—9)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტია საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. გ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## † ანდრო უჩანეიშვილი.

ამ დ. აბაშიდან ექვსი ვერსის მოშორებულ სოფ. კარიეთში ულმობელი კაცის ხელისაგან გამოესალმა ამ წუთი-სოფელს აქაურებში ყველასაგან საყვარელი, ზრდილობით, ქართველის გრძნობით სავსე და ცოდნის დაგვარათ ქართველი მწერალი, ანდრო უჩანეიშვილი. განსვენებული მოკლულ იქმნა ლევორვერით თავადი ჩიქოვანისაგან.

ამ თავზარდამცემ ამბავმა განსვენებულის ყველა ნაცნობებს და მეგობრებს გული დასწყვიტა და მდუღარედ აატირა.

განსვენებული ჩასიძებული იყო სოფელ კარიეთში, შვილი არ დარჩენია, ჯერ სულ ახალგაზდა და მეტათ ზრდილობიანი და კეთილშობილი ყმაწვილი იყო.

მისი ნაწერი ორ წიგნაკად გამოვიდა კიდეც წარსულ წელში, (ერთი თავართქილაძის გამოცემა და მეორე ტულუშისა).

აგრეთვე „ცნობის ფურცლის“ მკითხველებს უეჭველია ეხსომებათ მისი კორესპონდენციებიც, რომელზედაც ხან ნამდვილ სახელს აცხადებდა და, ხან ა. კარიეთელს *). აბა ვინ მოიფიქრებდა, რომ ისე სიცოცხლით და იმედებით სავსე ყმაწვილი კაცი, ნიჭიერი და ქვეყნის მოსიყვარულე ძალ მომრეობით დალევდა სიცოცხლეს, მაგრამ ალბად უილბლობამ და უფრო კი ადამიანის მოუსვენარობამ ცხოვრების ჩარხი ასე უბედურად დაუტრიალა და მოსწყვიტა ქვეყანას. სამუდამოთ იყოს შენი ხსოვნა, შენს ტოლ-ამხანაგებში გულ წრფელო მეგობარო!

ბ. დოლიძე

# ახალი ამბავი

*** ჩვენი ისტორიის მასალა იტალიაში. ვენის სახელმწიფო არხივში კვალად აღმოჩენილა დიდძალი მასალები საქართველოს ისტორიის შესახებ. სხვათა შორის,

*) «ცნ. ფურც.» გუშინდელ 650 ნომერში დაბეჭდილია ს. ნოსირიდან განსვენებულის კორესპონდენცია, რომელზედაც თავის სახელი და გვარი უწერია.

ვრცელი წერილია 1780 წლების ვენის ერთის ელჩის, რომელსაც მეფე ერეკლე უნახავს და იმის შესახებ თავის მთავრობისათვის წერილებიც გაუგზავნია. ერთ ლაგას ასე სწერს: „მე ვნახე მ ეფე ერეკლე და მართლაც რომ შესანიშნავი სანახავი ყოფილა; იგი ღირსია გაძლიერების და პატივის ცემისა“. ყველა ამ მასალეგის პირი დღეს დიდის სიფრთხილით და გულ მოდგინებით იწერება ცალკე და თავის დროზე წიგნადაც დაიბეჭდება.

*** **სახელოსნო სასწავლებლის ინსპექტორი.** ტფილისის ქალაქის სამოსწავლო კომისიამ უკვე გარდასწყვიტა 6 ოქტომბერს, მოწვეულ იქმნას ინჟინერ-ტეხნოლოგი ა. ი. ოჰანეზოვი, ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის ინსპექტორად.

*** **საქართველოს ისტორიის მასალები სომხეთში.** ახალციხის მაზრაში აღმოუჩენია სომხური რამდენიმე წიგნი, რომლებშიაც ძრიელ ბევრი ცნობები ყოფილა მოთავსებული საქართველოს შესახებ. ყველა ეს წიგნები ვენის მხითარისტების ძმობის საკუთრებას შეადგენს.

*** **კაცხას მონასტრის** (შორაპ. მაზ.) წინამძღვრად იმერეთის სამღვდელო მთავრობას დაუნიშნავს იღუმენი გრიგორი, ამას წინად აღყვანილი ამ ხარისხზედ.

*** **ა. აბაზაძის საქმე.** 16 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად აბაზაძის საქმე, რომელიც უჩივის თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონს და რომელიც ამ უკანასკნელს ყველა თავისი მამულების მოურავად ჰყავდა. ხელ-შეკრულობის დარღვევის გამო აბაზაძე მოითხოვს მუხრანბატონისაგან 17 ათას მანეთის გადახდას.

*** **ჩვენებური გაუწვრთნელობის მსხვერპლი.** გუშინ დ. აბაშიდან ფრიად სამწუხარო ამბავი გვაუწყეს. ს. კარიეთში თავ. ჩიქოვანს დამბაჩით მოუკლავს ჩხუბის დროს ახალგაზდა ნიჭიერი კაცი ანდრო უჩანეიშვილი, რომელიც „ცნობის ფურცლის“ დაარსებიდან აწვდიდა სამეგრელოდან სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო ამბებს და მით ხელს უწყობდა თავის სოფლის და მეზობლების დაწინაურებას.

დაჭრა და მკვლელობა ჩვენში პირველი არ არის, ვისაც კი ხანჯალი ამოუკანკურებია, ან დამბაჩა ჩამოუკიდნია, ცა ქუდად არ იაჩნია და დედამიწა ქალამნად. იარაღის უდროვო დროს და უთავბოლოდ ხმარება ნიშანია გაუწვრთნელობისა, გონება დახშვისა და თუ გნებავთ სილაჩრისა და სიმხდლისა. ნეტავ როდის იქნება ჩვენში იარაღის ხმარება ისწავლონ.

*** **შაქრის ქარხანა კავკასიაში.** რამდენხამე კაპიტალისტს ბ. მროზინსკის მეთაურობით, რომელთაც სავაჭრო სახლი აქვთ ვინიცაში (პოდოლის გუბ.), განუზრახავთ დაარსონ ახლო მომავალში შაქრის ქარხანა კავკასიაში. ბ. მროზინსკიმ ამ დღეებში სთხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, მაცნობეთ იმ მემამულეთა ადრესი, რომლებსაც შემეძლოს ჭარხლის თესლი გამოვუგზავნო, რომ საცდელად დასთესონ.

*** **ქუჩების შესაკეთებელი ხარჯი.** წელს ქუჩების შესაკეთებლად ტფილისში დახარჯულა: რიყის მოსაკირწყლად -1860 მან., გზა-ტკეცილის შესაკეთებლად—2,720 მ. ხიდების შესაკეთებლად—1,055 მ. და წყლის პირისა და მისი მოაჯირების შესაკეთებლად—2,590 მ., სულ 9,225 მ.

*** **ანგარაში ქალაქის ღამის გასათევ თავ-შესაფრების შესახებ.** სექტემბერში თავ-შესაფრებში ყოფილა 2,695 ღამის მთეველი (2,223 მამაკ. და 482 დედაკ.) ამ რიცხვში რუსი ყოფილა—1,107(1,028 მამაკ. და 79 დედაკ.), სომეხი—1,184 (832 მამაკ. და 352 დედ.) ქართველი -560 (280 მამაკ. და 280 დედაკ.), სპარსელი 77 მამ. გერმანელი—14 მამაკ. და სხვა გვარ-ტომისა—34 მამაკ. ხელობის მიხედვით: შავი მუშა—100, ხელოსანი—7, ასოთ-ამწყობი—3, მზარეული—4, ლაქია—3, მეტლე—2, მსახური ქალი—2, სიბერის გამო შრომის ვერ-შემძლე -41, დასახიჩრების გამო შრომის ვერშემძლე—7, მასწავლებელი—2, მოსწავლე - 4, გადამწერი—5, მეთუნუქე—1, ქვის მუშა—1 და მხერხავი—1.

*** **ტრამვაის საქმე.** გუშინ-წინ, 9 ოქტომბერს, ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს ბ-ნ ევანგულოვს დაუყონებლივ ყოველ მხრივ განიხილავს საბჭო—რა უმჯობესი იქნება ქალაქისათვის, ცხენის რკინის გზა გამოისყიდოს და თითონვე აწარმოვოს, თუ, ის, რომ ამ გზის წარმოება ისევ ბელგიის საზოგადოების ხელში დარჩესო. ჩემამდე მოაღწია ამბავმა, რომ საბჭოს 32 სექტემბერს, დადგენილების შემდეგ ხსენებული საზოგადოება წანანდელთა შედარებით უფრო კარგს პირობას იძლევა, რომლის განხილვა ასე თუ ისე საბოლოდ გარდასწყვეტს გზის გამოსყიდვის საქმესაო.

ამ საქმის განსახილველად ქალაქის მოურავმა საბჭოს საგანგებო კრება 14 ოქტომბერს დანიშნა.

*** **ცხენის რკინის გზის საქმე.** როგორც გავიგეთ კავკავიდან უკვე გამოუგზავნიათ ტფილისში ცხენის რკინის გზისათვის 116 ცხენა. საშვალო რიცხვით თითო ცხენი დამჯდარა 75 მან. კიდევ ცხენების სასყიდად თავ. ნ. ე. არღუთინსკი—დოლგორუკოვი ბეითალი ბ. ვართანოვი გაემგზავრენ სტამბოლის გუბერნიაში. გარდა ამისა კომისიას ტფილისში 70 ცხენი, და პირობით შეკვრია ერთ მწარმოებელს, რომელმაც იჯარათ უნდა უშოვოს ქალაქს 28 ვაგონისათვის საჭირო ცხენები. ამასთან კომისიას უკვე დაუმზადებია ცხენის საკვები. გარდა ამისა კარაპეტვის ქარხანას უკვე მიუღია ერთი წყება ბორბლები ცხენის რკინის გზის ვაგონებისათვის და 15-მდე ვაგონი სრულიად დაუმზადებია.

*** **ახალი წიგნი — „ვეფხის ტყაოსანი“.** ნაამბობი მოზდილის ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანის—მიერ ამ წიგნის ენა შესწორებულია. წიგნი შეიცავს 87 გვერდს და ღირს ხუთი შაური. სამივე წიგნი სუფთა ქაღალდზეა დასტამბული და ფასებიც სამივეს დანიშნული.

*** **მადლობის გამოცხადება.** ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნა ბაქოელ ქართველობას, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემწეობა აღმოუჩინა ფულით დორპატის უნივერსიტეტის სტუდენტს, გრიგორი ამბაკოს ძე მახარაძეს. აი შემომწირველთა სიაც.

ბ. ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილმა 3 მან., ლავრენტი თედოს ძე ანჯაფარიძემ 2 მან., ილ. გეგენავამ 1 მ., ექვთიმე ს—ძე ფხაკაძემ 1 მ., ალექსანდრე ალხაზიშვილმა 1 მ., პლატონ თებზაძემ 1 მან.. ბიკტორ თათიეშვილმა 1 მან., მელიტონ თოიძემ 1 მ., სოლომონ ქადაგიძემ 1 მ., ივანე მახარაძემ 1 მან., თედორე ბარამიძემ 1 მ., ლევარსი ზ. ბაკურავამ 1 მ., ალექსანდრე ბერელაშვილმა 1 მ., დიმიტრი ღვაბიჩავამ 50 კ., ვასილი ბ. გაბელიამ 50 კ., ვასილი სობონაძემ 50 კ., № მისმა ნაცნობმა 50 კ. სულ შესდგა 18 მანეთი. ეს ფული გავგზავნეთ თანახმათ მისი წერილისა ბათომში, ლევან გედევანიძის სახელზე. გადასაცემათ სტუდენტი გრიგორი მახარაძეზე.

ალექ. ლევანის ძე ჩხარტიშვილი

*** **ყარაიაზი.** 9 ოქტომბერს, დღის 5 საათზე და 55 წ. აქ მობრძანდნენ საგანგებო მატარებლით მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მისი უავგუსტოესი შვილები, დიდი მთავრები გიორგი მიხეილის ძე და სერგეი მიხეილის ძე, და კავკასიის მთავარმართებელი გენ.-ად. გ. ს. გოლიცინი. სადგურზე მიეგებნენ მის უმაღლესობას მარიამის წყლის არხეეის ამხანაგობის წევრნი. შემდეგ მისმა უმაღლესობამ კეთილ ინება დაეთვალიერებინა იქვე სადგურზე გამოფენილი ხილეულობა, ბოსტნეულობა და ყანის ჭირნახული, რომლებიც აუხსნა და განუმარტა მის უმაღლესობას საცდელ მინდვრების მმართველმა ბ. ტარატინოვმა. მისმა უმაღლესობამ მადლობა გადიუხადა ბ. ტარატინოვს და შემდეგ გაემართა ამ დღისათვის დანიშნულ ნადირობაზე.

*** **კავთისხევი** (ქართლი). **ღვინის მოსავალი** ამ ჟამად ს. კავთისხევში საკმარისად ცივა; კარგა ხანია, რაც რთვილის გდება დაიწყო და მცენარეულობას თავისი ფერი დასდო, შეაყვითლა, ტყის ფოთოლიც მოიხრუკა და ძირს შრიალით სცვივა. თუმცა ბუნება თითქოს მოიღრუბლა, თავი დახარა, მაგრამ ხალხმა კი ცოტა არ იყოს, ენა ამოიდგა და აქა იქ ღიღინი მოისმის, რამდენადაც მაჭარს ძალა მოემატება, იმოდენადაც ხალხი სიმღერას და ლხინს მოუმატებს. აგერ საცაა ქორწინებიც დაიწყობა და დაგვიტკბობენ სასიამოვნო მაყრულის ხმით ყურს. მართალია, ბევრი თუ ღიღინებს, ბევრი სახლის კუნჭულში მიწოლილა და ზამთარში შეყოლილის ციებ ცხელებით ბაბანებს. რასაკვირველია ეს დაუდუღებელი მაჭარი კარგათ არ მოქმედობს ავადმყოფზედ და უფრო გაურკვეცებს სნეულებას, მაგრამ განა ჩვენს ქართველს კაცს სული, რომ ხდებოდეს მოითმენს ღვინო არ დალიოს? ნუ გიფიქრიათ, განა თითონ არ იცის, განა არა გრძნობს, მაგრამ მაინც თავს იხრჩობს.

წელს ღვინის მოსავალი საშუალო იყო ისე, რომ არ შეგვიძლიან კვლავინდებურს მოსავლებთან შევადაროთ და დავემდუროთ. ღვინოც კვლავინდებურზედ ტკბილი და ძალოვანია, რადგან ყურძენი გვარიანად დამწიფდა. ან კი როგორ უნდა დაემდუროს აქაური ხალხი ღვინის მოსავალს, როდესაც ვენახებს ისე ეკიდებიან, როგორც თვით მტერიც არ მოეკიდება. ერთი იქამდის კი შეიკავებენ თავს, ვიდრე მოჰკრეფდნენ და მაშინვე მისცემენ საქონელს, რომელიც ძირიან-ფესვიანათ აოხ

რებს. რა ხეირი უნდა დაეყაროს იმ ვენახს, სადაც კამეჩი თავის გაფარჩხულის კერპის რქებით გაივლის? ვაზებს ცალკე უმტვრევენ რქებით და გაფუაებულს ნაბარს მიწას ხომ სრულიად სტკეპნიან და აკორდებენ, მერე აქაური ხალხი ვენახებს სულ აბამენ. ურიგოს არ იზამენ აქაური ხალხი ერთხელ და სამუდამოთ, განაჩენით ამოირჩიონ „მოყადაღე“ კაცები, რომლებმაც გაამაგრონ ვენახები საქონლის განადგურებისაგან. ვინც საქონელს უპატრონოდ თავი მიანებოს, მაშინ გუბერნატორის ნიხრით სულზე ექვსი აბაზი გარდაახდევინონ. აბა მაშინ შეიძლებენ შეიკავონ პატრონები თავისავე მამულის წახდენისაგან.

ივ. კავთელი

*** **ს. ჭანჭათი** (გურია). ავადმყოფობა სოფლად. ჩვენი სოფელი სწორედ ბუდეა სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა. ყველანაირი სენი აქ იჩენს ხოლმე თავს: ციებ-ცხელება, წითელა, ყივანა-ხველა და სხვ. დადგება შემოდგომა და მასთან დგება სეზონი ავადმყოფობისა. ამ დროს ისეთს ოჯახს ძვირად ნახავთ მთელს სოფელში, რომ ავადმყოფი არ ჰყავდეს სახლში. უფრო, რასაკვირველია, გავრცელებულია ციებ-ცხელება და დიდათაც აზიანებს მცხოვრებთ. ციებ-ცხელება უმეტესად მოზარდ თაობას აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში და შემდეგ განუკურნებელ სენად ექცევა ხოლმე. საქმე ის არის, რომ მოვლა არ იციან ავადმყოფებისა და უბრალო ციებისაგან ავად გამხდარს ხშირად ცივი სამარე მოელის... უმთავრესი და თავი მიზეზი-კი ამისა ის გახლავთ, რომ სანამ განძნელებული არა აქვს ავადმყოფს სენი და სულ ადვილად შეიძლება მისი მორჩენა, მანამდის შინაურის წამლებითა და რაღაცეებით სწამლობენ, ხოლო როცა ამითი ვერას გახდებიან და პირიქით გაუძნელებენ ავადმყოფს სენსა, მაშინ მიჰმართავენ ფერშალს; სამწუხაროდ, ეს უკანასკნელიც ბევრს ვერაფერს ჰშველის ავადმყოფს, წამლებს არ იშურებს მისთვის და პლომადაც უწერს... რაკი მრავალი ნაირ წამლებს უწერს, ის ჰფიქრობს—ან ერთი უშველის და ან მეორეო, ხოლო ის-კი ფიქრადაც არ მოსდის, რომ ადვილი შესაძლებელია ამ სხვა-და-სხვა ნაირმა წამალმა ვნებაც მოუტანოსო... ასე და ამგვარად ფერშლებისაგანაც იმედ-გაცრუებულნი რჩებიან და დიდის ხარჯებისა და წვალების შემდეგ ისევ ექიმს უნდა მიჰმართონ, რომლის შოვნა, ყველას მოგეხსენებათ, მეტად ძნელია... იმედ-დაკარგულნი ავადმყოფის ჭირისუფალნი ისევ ფერშლების მოიმედე რჩებიან და იქამდის იმედოვნებენ, სანამ მთლად არ გამოეთხოვება წუთისოფელს მრავალ-ტანჯული ავადმყოფი...

საკვირველი ის არის, რომ ფერშლები ყოველ ავადმყოფის წამლობას კისრულობენ, რაც უნდა ძნელად განუკურნებელის სენით იყოს იგი შეპყრობილი... დიახ, ჩვენი ფერშლები ხშირად ექიმობას იჩემებენ და ისეთის ავადმყოფის წამლობას კისრულობენ, რომელიც სრულებით აღემატება მათს ცოდნასა და ძალ-ღონეს... ყოველსავე ამას სჩადიან მისთვის, რასაკვირველია, რომ მეტი შეიძინონ, მეტი ჩაიჩხრიალონ თავიანთ გაუმაძღარ ჯიბეში, ხოლო ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს და ერთხელაც იქნება გატყდება...

საჭიროა დაუფიქრდნენ თავიანთ საქციელს თვით ფერშლები და ისე იმოქმედონ, როგორც კანონი და წესი მოითხოვს...

ჩვენ შინაური ექიმბაშებიც არ გვაკლია, ღვთის წყალობით. თუმცა შიგ ჩვენს სოფელში არავინ არის ასეთი, მაგრამ მახლობელ სოფლებიდანაც ადვილად მოჰყავთ აქ საექიმბაშოდ... საკვირველია, ღმერთმანი, რით ვერ გაიგეს ამდენის ხნის გამოცდილებით, რომ ამ მატყუარა ექიმბაშებმა არაფერი იციან და მხოლოდ ფულის შეძენის საღერღელი აქვთ აშლილი.

ასე უკუღმართად არის ჩვენი ცხოვრება მოწყობილი და ნუ თუ საკვირველი არ არის, თუ კიდევ გვიდგია პირში სული?.. სხვა-და-სხვა მოთხოვნილება-გარდასახადები და ყველაზე აუტანელი ავადმყოფობა სულ მთლად ძირს უთხრის ჩვენს კეთილ-დღეობას და და დღითი დღე აუტანელად ხდის ამ წუთისოფლის ცხოვრებას...

დროა შევიგნოთ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა და ღირსეული მსჯავრი დავსდოთ იმათს მოქმედებას, რომელნიც მხოლოდ ჩვენს გატყავება-გალატაკებას და თავიანთ ჯიბის-კი გასქელებას ცდილობენ...

ს. ჭანჭათელი

*** **ჯუმათი** (გურია). ავდრები და მოუსავლობა. წრევანდელმა ზაფხულმა ცივი ამინდებით და წვიმებით გაატარა, ავდრების გამო ბევრს ყანები ბალახისაგან არ გაუწმენდიათ. სხვა წლებში, სექტებრის 15-იდან ზეგნის ყანები აღებული იყო, წელს კი ჯერ აგერ ოკტომბრის მესამედი გადის,—ყანებს ისევ ლურჯი ფერი ადევს და ზოგან სიმინდი გულს ეხლა იკეთებს. უწინ ჩვენნს სოფელს ძვირათ თუ ქვენა ქარი შეაწუხებდა, თორემ ზენა ქარისაგან ჯუმათის გორების წყალობით დაცული ვიყავით, წელს ზენა და ქვენა ქარს შორის არავითარი განსხვავება არ არის. აგვისტოს შუა რიცხვის ამოიჭრა ქვენა ქარი: სიმინდი და ღომი მიწასთან გაასწორა, ყურძენი, „იზაბელი“ რომელსაც გვარიან მოსავალს გვპირდებოდა გაანახევრა. ოკტომბერი დადგა თუ არა ღომს რომელიც ფერზე იდგა, სიმწიფე დაეტყო .მაგრამ ავდრების გამო მის მოკრეფვას ვერ ველირსეთ. 5-ს ამ ოკტომბერს, ღამის გათენებამდის ისეთი მძლავრი ზენა ქარი ამოვარდა, რომ უშვერი ხე ძირიანათ მოგლიჯა; ყურძენი ერთათ-ერთი საჭმელია აქაური მცხოვრებლებისა—სულ დაბერტყა. ამასთან შესანიშნავი ჯუმათის მონასტრის სახურავი, რომელიც კედლებში ჯაჭვებით მიმაგრებული იყო, ერთიანათ ჩამოგლიჯა და მონასტერი გატიტვლებული. აქაური მოხუცნი ამბობენ; ასეთი ქარი არ გვახსოვსო, შიმშილობა ჩამოვარდებაო.

ს. ლაშის პირელი.

*** **ს. ჭითაწყალი** (დარჩელის საზოგადოება). ჩხუბი არაფერზე. ამას წინად რამდენიმე მეურმე გასასყიდ სიმინდით დატვირთულნი შესულან დ. ანაკლიაში. ერთ მათგანს ურმების დაცლის დროს დაკარგვია „სახრე“. საშინლად შეწუხებული ნახევარ წლის ნამსახური სახრის დაკარგვით, დაბრუნებულა თავის სოფლისკენ თავისი მახლობელ ნათესავ-მოგვარე ყმაწვილ მეურმეთურთ ანაკლიის და ორივე მახლობლათ იქვე ყოფილან დაბინავებულნი, ამათ წინ დაბრუნებული მეურმეები. მოხუც მეურმეს, გვარად კოდუას, აბასთუმნის მცხოვრებს, შეუნიშნავს თავისი სახრე კახათის მცხოვრების თ. ჩახაიას ხელში. კოდუა მისულა მასთან და უთხოვია სახრე, მაგრამ უკანასკნელს არ მიუცია და კიდეც წაჩხუბებია მოხუცებულ კოდუას. ამის დანახვაზე ახალგაზდა ამხანაგი მივარდნილა გასაშველებლათ, მაგრამ ჩახაია და მის ამხანაგებს (რვა კაცს) იმდენი უცემიათ ორთავ კოდუებისათვის რომ თუ ეს უკანასკნელნი არ გაქცეულიყვნენ, შავი დღე დაადგებოდათ. გაქცეული კოდუები ერთ მახლობელ მოსახლის სახლში შევარდნილან, სადაც ორი ქალის გარდა არავინ ყოფილა. ჩახაია და მისი ამხანაგები კეტებით შეიარაღებულნი, კარებზე მივარდნილან, გაუტეხიათ და ის იყო უნდა შევარდნილიყვნენ შიგ სახლში, მასპინძლის ახალი მოყვანილი ცოლი მ. კალანდიასა ფარცვანიას ასული წალდით დახვედრია კარებში, მოჩხუბართა მოთავის ჩახაიასათვის თავზე დაუკრავს და სისხლიანი გაუგორებია კარებში. ამხანაგებს მეურმეებს ჩახაია ურმით წაუყვანიათ შინ. ქალს ადგილობრივ პოლიციისათვის ცნობა მიუცია. ამბობენ ჩახაიას ჭრილობა საშიში არ არისო და რომ მ. კალანდიასა ისე მამაცურად არ გასჯილიყო, კოდუები დღეს მკვდარნი იქნებოდნენ, ისე გაბრაზებულათ მოხდომია რვა კაცი ორ კაცსაო.

კოლონა

*** **ს. ნიგოითი** (გურია). ვაჭრების თავ-გასულობა. ს. ნიგოითში სადგურის მახლობლად სდგას ათ-ხუთმეტამდე დუქანი, რომლებშიაც ვაჭრობენ აქაურივე მკვიდრნი. 25 სექტემბერს აქ მოვიდა ახალი მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. წერეთელი გზებისა და სხვების სარევიზიოდ. ამ დროს უფროსის თანაშემწეს მოახსენეს: აქაური ვაჭრების თავ-გასული ვაჭრობა და მათგან პურისა და სხვ. გაძვირება. ამის გამო ბ. თანაშემწეს დაუდგენია ნიხრი პურზე: გირვანქა პირველი ხარისხის პურზე 4 კაპ. და მეორეზე 3 კ ამის გამო გაფიცულან აქაური პურის მცხობლები (სულ ხუთია), პურს აღარ აცხობენ და ასე ამბობენ: თუ არ მოგვიმატებთ ფასს, ე. ი. გირვანქა პურში თუ 5 კაპ. არ მოგვცემენ, ისე არ გამოვაცხობთო. საკვირველია ღმერთმანი! თუ-კი ჩოხატაურსა, ხიდისთავ-ნაგომარში და თვით ოზურგეთში ხელს აძლევს მეპურეებს უფრო იაფად ჰყიდონ პური, რატომ ნიგოითის სადგურთან მოვაჭრეებს არ აძლევს ხელს? (ჩოხატაური. ხიდისთავი, ნაგომარი და ოზურგეთი რკინის გზის შემდეგ პურს კიდევ 15—20 ვერსზე ზიდავენ) მაგრამ აქაური ვაჭრები არ სჯერდებიან მკვიდრთ მარტო ტყავი შეაძრონ, არამედ გულიც უნდათ გამოხრან, რაც ისედაც გაღარიბებულ საზოგადოებას უფრო და უფრო დააქვეითებს ქონებრივად. ძლიერ კარგი იქნება ამათს თავ-გასულობას ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს და უფრო კარგი იქნება თვით ვაჭრები ჩაიხედავდნენ თავიანთ სინიდისში.

დროებით ნიგოითელი

*** **ს. ტყემლოვანა** (ზემო-იმერეთი). ქურდობა. კვირა ისე არ გაივლის, რომ ერთი ან ორი ცხენი არ დაიკარგოს. სწორედ საჭიროა, რომ დროით მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ჩვენს სოფელს, თორემ თქვენი მტერია, ისედაც მრავალ გზით დაქვეითებული ხალხი თანდათან გაღატაკდება და სულის მეტი აღარა შევრჩება-რა.

— მკითხავის ოინები. არც ჩვენი სოფელია დალოცვილი მკითხავებისაგან მოძულებული, მაგრამ იმათ რა გაეწბილებათ, როცა აქაური მცხოვრებნი მისდევენ დამღუპველ ცრუ-მორწმუნოებას. ერთი სასაცილო საქმე ჩაიდინა ამას წინად მკითხავმა. ერთმა აქაურმა გლეხმა ჩანჩალაძემ, რომელსაც

სჯეროდა, რომ ვითომც მის სახლში ჯადო უნდა ყოფილიყო, მოიწვია მკითხავი და სახლი გააშინჯვინა. მკითხავმა ახედ-დახედა და ურჩია სახლის სხვაგან გადატანა, სახლის პატრონმა დაუჯერა, მოანგრ-მოანგრია სახლი და სხვა სამოსახლოზე გადავიდა.

ამას გარდა ბევრი შემთხვევაც ყოფილა, რომ ავადმყოფები ხატების სალოცავად გაუგზავნია, ხოლო ზოგი საიქიოსაკენაც.

ნ. ჩანჩალაძე

*** **მთები.** სწავლის ხარჯი. რაც მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლები არსებობს კავკასიაში, ამათ მასწავლებლებს ეძლეოდა ყოველ წლივ, ხსენებული საზოგადოების კანცელარიიდან, წელიწადში ოროლი თუმანი სკოლის წვრიმალი ხარჯის გასასტუმრებლად, მასწავლებლები ხარჯავდნენ ამ ფულს: იატაკის დასაგველ-დასაწმენდ, ავეჯების შესაძენად; დამტვრეული შუშების გამოსაცვლელად; ზოგიერთ, რიგიანად მოუმართავ სკოლებისთვის „ფეჩების" მოსასყიდად; მაგიდეების შესაკეთებლად, ან ახლების შესაძინებლად; საუკეთესო შეგირდების მცირე დაჯილდოვებისათვის, ზარმაცების გასამხნევებლად; ან ძრიელ ღარიბი და ყოვლად-ღატაკი მოწაფის ფეხსაცმელ-ტანსაცმლის სასყიდლად; ზოგიერთა მასწავლებელი, დიდ დღესასწაულში, უმართავდა საყმაწვილო დღეობას ბავშვებს; ყიდულობდა ცარცს, ღრუბელს, სათამაშო ნივთებს და სხვ. ოთხი წლის წინად ამ ფულების ძლევა მოუსპეს მასწავლებლებს და და მას აქეთია, ზემოთ ჩამოთვლილ აუცილებელ ხარჯს, უიმისოდაც ფიტ-გამოლეული, მასწავლებლის მცირედი ჯამაგირი ისტუმრებს.

რასაკვირველია, აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: რიგიანმა მასწავლებელმა ისე უნდა დააყენოს საქმე, რომ ამ ხარჯის გასტუმრება თვით სოფლის საზოგადოებამ იკისროს, მაგრამ სამწუხაროდ, გლეხი ძნელად-და გამოიტანს იმ ხარჯს, რაც ერთხელ ყრილობაზე დადგენილ და მთავრობისაგან დამტკიცებულ განაჩენში არ არის მოხსენებული.

ახლა განაჩენის დადგენა და დამტკიცება ხომ ვიცით, რა ძნელი და გასაჭირია, მით უმეტეს, რომ ამგვარი სკოლები დაარსებულია ოციდან ორმოცი წვრილ-წვრილი სოფლისათვის კავკასიონის მთებში. თუნდაც რიგიანმა მასწავლებელმა დაითანხმოს ხალხი ამნაირი ხარჯის გამოტანაზე; მაინც საზოგადო ყრილობის შეკრება ძრიელ ძნელია, ან ხალხი ვერ შეიყრება, ან ხალხის შემყრელი ვერ იცლის ამისთანა წვრიმალ საქმისათვის. ერთ-ორ სოფელს რომ გულითაცა სურდეს გამოიტანოს ხარჯი, ესენიც უკან დგებიან მეზობელ სოფლების ჯიბრით; ამნაირად დღეს-ხვალიობით რჩება საქმე დაუბოლოებელი და ვინ უნდა გადაიხადოს ეს ხარჯი, თუ არა ნატისუსლიანმა მასწავლებელმა? თუ კი ბედმა არგუნა ამნაირი ხვედრი, ვისი ბრალია? იშრომოს, იტანჯოს და თუ მატერიალურად არა, ზნეობრივ და სულიერად ხომ იქნება დაკმაყოფილებული. კარგი იქნება, ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ახალი სკოლების დაარსების დროს, როგორც მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა, სამრევლოსი და სახალხო სკოლების დირექციისა; განაჩენებში იყოს ხოლმე მოხსენებული სხვა ხარჯებთან ერთად ეს ხარჯიც.

მართალაძე.

## სამეცნიერო ცნობა

—

**მუსიკა, როგორც სამკურნალო საშუალება.** შეუძლია თუ არა მუსიკას სნეულებიდან განკურნოს ადამიანი, ან-და შეუმსუბუქოს მაინც სენი? ამ კითხვის გამოკვლევას ცდილობდნენ ძველი მეცნიერენი და ფილოსოფოსნიც, მაგრამ მათ ნაკლებად მიახწიეს მიზანს. ექიმის ბიანჩინეს გამოკვლევით: ძველ ეგვიპტელებს. ელლადას და რომს მიაჩნდათ მუსიკა სნეულების გამკურნელ საშუალებად. საშუალო საუკუნოებში, გამოჩენილმა ექიმმა პარაცელსმა ზედ მიწევნით გამოიკვლია, რომ მუსიკა განსაკუთრებით ჰკურნავს ნერვებით ავადმყოფს ადამიანს.

წარჩინებული საფრანგეთის ექიმი ბრუნეტტი გვარწმუნებს, მუსიკა უფრო სულით ავადმყოფს უმსუბუქებს სნეულებასო. მუსიკის ხმა ბურუს უფანტავს ადამიანს გონებას უცოცხლებს, მეხსიერებას, ისე რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ ადამიანი იკრებს დაფანტულ გულ-გონებას. უებრად მოქმედებს მუსიკა ბნედით ავადმყოფებზედაც. აი რა შესანიშნავ შემთხვევას მოგვითხრობს ექიმი სადორი: ერთს წარჩინებულ მემუსიკეს ნერვების ანთება დაემართა, იგი ხშირად ბოდავდა, ლაპარაკობდა გაუგებრად, ტიროდა და ძილი სრულიად არა ჰქონდა. ავადმყოფმა რამდენჯერმე განუცხადა ექიმს მუსიკის ხმა გამაგონეთო, მაგრამ ექიმი ვერა ბედავდა ამას. ერთხელ აუსრულეს სურვილი ავადმყოფს და სასულიერო ჰიმნები დაუკრეს. რაწამს მუსიკის ხმა გაიგონა, მაშინვე ავადმყოფმა მოიხედა, ნერვების კანკალი და ცახცახი შეუმცირდა და სიხარულის ცრემლები დაპა-დუპით ჩამოსცვივდა. ვიდრე მუსიკა უკრავდა ავათმყოფი კარგათ იყო, მხოლოდ რამ წამს შესწყვიტეს, ხელ-ახლად აეშალა სნეულება. ხელმეორედ განაგრძეს მუსიკის დაკვრა და სნეული მემუსუკე ათი დღის განმავლობაში სრულიად განიკურნა. აი კიდევ მეორე შემთხვევა: ერთი „ტანცმეისტერი" ხუთი დღის ციებამ ისე გადარია, რომ ცოფათ გადაექცა. ექიმებმა მუსიკის მკურნალობის საშუალებას მიმართეს. როდესაც სკრიპკა დაუკრეს, ავათმყოფმა მაშინვე მოიხედა და სკრიპკის ხმაზე მთელი სხეული ააყოლა და დამსწრეთ რომ არ დაეშალათ, საცეკვავათ წამოხტომას აპირებდა; ამ რიგათ განაგრძეს ამ საშუალების ხმარება, სნეულს ძილი მოერია და შემდეგ სრულიად მორჩა. ექიმი ვოლლერი ამტკიცებს სხვა და სხვა მაგალითებით, რომ ყურებ დაავადებულზედაც სასარგებლო გავლენა აქვს მუსიკასაო.

ექიმი პ. ბნეიდერი განმარტავს: მუსიკის ხმას მარტო სულით და ნერვებით ავადმყოფზე კი არ აქვს გავლენა, არამედ ანთებასა და გადამდები სნეულებისგანაც ჰკურნავსო, ყოველ შემთხვევაში ავათმყოფობას შესამჩნევად ამსუბუქებსო.

## ყურმოკრული საუბარი

—

ოდესღაც არსებობდა თურმე ზარმაცთა საზოგადოება, რომელსაც დევიზად ჰქონებია: „არ აჩქარდე"! ერთს წევროაგანს ჯარიმა მიუსაჯეს მისთვის, რომ ცხენი გაეჭენებინა.

— თქვენ, ბატონებო, უსამართლოდ მომისაჯეთ ჯარიმა, ცხენი მე-კი არ გავაჭენე, თავის ნებით გაჭენდა და მე კი დამეზარა ცხენი ამელაგმა და შემეყენებინა.

საზოგადოების წევრთ ერთხმივ გადიხარხარეს და ჯარიმა აპატიეს.

—

— თქვენა, გგონებ, რუსი ბრძანდებით?

— არა მე ქართველი ვარ.

— მე ისე გავიგე, რომ თქვენ მოსკოვში დაბადებულხართ!

— მერე რა ვუყოთ! განა ძროხამ საღორეში ხბო რომ მოიგოს, ვითომ ხბოს „გოჭს" დაუძახებენ?

—

— ოხ, ძმობილო, არ მომილოცავ, რომ დღეს ჩემმა ცოლმა შობა...

— ვაჟი?

— არა!

— მაშ ქალი?

— ბიჭოს! შენ საიდან იცი?

— ?!?

—

ორი ჯიბგირი სდგას საოქრომჭედლოს მაღაზიასთან და ხარბის თვალით შესცქერიან ოქროულობას. ბოლოს ერთი მათგანი მიუთითებს ერთ ძვირფას საათზე და ჰკითხავს ამხანაგს:

— როგორ გგონია, რა უნდა ღირდეს ეგ საათი?

— ბევრი ბევრი, ეგ საათი დაჯდეს ორი თვე საპყრობილეში და ერთიც კისრის დაზელვაო.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ოქტომბერი

**პეკინი.** ინგლისის ელჩის მეცადინეობით, იმპერატორი ინახულა ფრანგმა მკურნალმა. ეს მკურნალი იმიტომ ამოარჩიეს, რომ იგი ერთად-ერთი მკურნალია, რომელიც ოფიციალურად უცხო ქვეყნის საელჩოს ახლავს. როდესაც მკურნალი სასახლეში შევიდა, იმპერატორთან იყვნენ: იმპერატრიცა, პრინცი ჩჟინი და მრავალი მანდარინნი. იმპერატორი კარგ გუნებაზე იყო და იმპერატრიცას დიდის პატივის-ცემით ექცეოდა. მკურნალმა გასინჯა იმპერატორი. იმპერატორს საშიში ავადმყოფობა არაფერი აღმოაჩნდა, მხოლოდ სუსტად ყოფილა.

**პარიზი.** „Matin"-ი ამბობს: საკასაციო სასამართლომ პიკარის მოხსენებიდან გაიგო, რომ არის საბუთის ქაღალდები, რომელნიც სამინისტროში იქმნა დატოვებული. სასამართლო დაუყოვნებლივ მოსთხოვს სჯულის საქმეთა მინისტრს, რომ გაუგზავნოს ეს საბუთის ქაღალდები.

„Figaro" სწერს, რომ სჯა იმის შესახებ, შესაძლებელია, თუ არა დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვა, მოხდება 15 ოქტომბერს. ამ საქმეს ერთს კრებას მიანდომებენო.

**ნორტშილდი.** ხაზინის კანცლერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ თუ საფრანგეთი ფაშოდის საქმეში არ აღასრულებს იმას, რასაც ინგლისი თხოულობს, საქმე სერიოზულ ხასიათს მიიღებს. „უბედურება იქნება, — განაგრძო კანცლერმა, — თუ, 80 წლის მშვიდობიანობის შემდეგ, სამეგობრო განწყობილება დაირღვა და ინგლისი ომში ჩაითრიეს, მაგრამ ომზე დიდი უბედურება სხვაა და მთავრობა უკან არ დაიხევს, როდესაც დარწმუნებულია, რომ ხალხი მხარს უჭერს".

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Октября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც." (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გუნია**